ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე
კომისიის წევრი: მარიკა არევაძე
კომისიის წევრი: ცისმარი ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.04.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/21

I შეკითხვა:
საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული იქნა დედის სარჩელი მამის მიმართ არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის და მამის, როგორც მშობლის, წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის მოთხოვნით.
სარჩელის მიზანი იყო დედის და ბავშვის მოგზაურობის და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრების უფლების მინიჭება, რაზეც მამა თანხმობას არ აცხადებდა.
საქმის განხილვისას არასრულწლოვანი (12 წლის) არაერთ ფსიქოლოგთან იყო გასაუბრებებზე, გამოკითხულ იქნა მოსამართლის მიერაც და დადგინდა, რომ მისი სურვილიც იყო დედასთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა. ბავშვი სრულად უჭერდა დედის სარჩელს მხარს.
სასამართლომ დედის სარჩელი დააკმაყოფილა, რასაც ასევე საფუძვლად დაედო ფსიქოლოგის დასკვნა და მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი პოზიციაც.
გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა და ბავშვი დედასთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ.
გადაწყვეტილება გასაჩივრდა აპელაციის წესით, სადაც სასამართლომ ბავშვი, როგორც დაინტერესებული პირი, ჩააბა მესამე პირად და დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქმეში როგორც ბავშვის ინტერესების დამცველად უნდა ჩაებას ადვოკატი.
მოცემულ შემთხვევაში, დედის ადვოკატს აქვს თუ არა უფლება განახორციელოს ბავშვის ადვოკატირება იმის გათვალისწინებით, რომ მეურვეობის ორგანოს არ გამოუხატავს

საწინააღმდეგო პოზიცია, ბავშვი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მას უნდა ჰყავდეს ადვოკატი და მისი სურვილია, რომ დედის ადვოკატმა განახორციელოს მისი უფლებების და ინტერესების დაცვა.

II ანალიზი:

კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის თაობაზე არსებული მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით:

> *ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).*
>
> *ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).*

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია, როგორც არსებულ კლიენტებს შორის, კლიენტსა და ყოფილ კლიენტს შორის, არსებულ კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატთან, აგრეთვე, ადვოკატს შესაძლებელია ჰქონდეს პირადი ინტერესთა კონფლიქტი არსებულ კლიენტთან. ერთდროულად ინტერესთა კონფლიქტის მქონე კლიენტთა ინტერესების წარმოდგენა არღვევს პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის განხორციელების ვალდებულებას, ამასთან, საფრთხე ექმნება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა ერთი კლიენტის საზიანოდ და მეორე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იქნას გამოყენებული.

კლიენტისადმი ერთგულების მოვალეობა და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა არსებითი ელემენტია საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისთვის. ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით: 1. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ვინ არიან კლიენტები; 2. არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე 3. დასაშვებია თუ არა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა 4. და თუ დასაშვებია ამის თაობაზე არსებობს თუ არა კლიენტის ინფორმირებული თანხმობა.

ადვოკატის როლი ბავშვის უფლებათა დაცვაში

ბავშვის ადვოკატირება - ნიშნავს მისი ინტერესების უპირატესად მოქმედებას და შესაბამისად, მის მიერ გამოხატული ნების საუკეთესოდ წარმოჩენას მართლმსაჯულების წინაშე თუ სხვადასხვა ორგანოებთან ურთიერთობისას.

ვინაიდან, ბავშვის უფლებების დაცვას განსაკუთრებული, ფრთხილი და გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება, ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს. სსსკ-ის მუხლი 5[1] -ის მიხედვით, არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებზე მონაწილეობის უფლება ენიჭება

არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებულ ადვოკატს.

შესაბამისად, განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხს წარმოადგენს სასამართლოში საქმისწარმოების დროს, საოჯახო დავისას, დაცული იყოს პროცესის მონაწილე პირების მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მით უფრო, თუ საქმიდან გამომდინარე არსებობს ბავშვის წარმომადგენლობის საჭიროება ადვოკატის მიერ.

გარდა, იმ მითითებისა, რომ ადვოკატი უნდა იყოს სპეციალიზებული არასრულწლოვნის უფლებების წარმომადგენლობის საკითხებში, ადვოკატის პროფესიული ეთიკის რეგულაციები არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას. შესაბამისად, ადვოკატმა ბავშვის ინტერესების დაცვისას, (შეკითხვის მიხედვით ბავშვი სასამართლოში საქმის განხილვისას მესამე პირის სტატუსითაა ჩართული) მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოებისას უნდა გაითვალისწინოს ის რეგულაციები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას ეხება და განსაკუთრებული სიფრთხილით იმოქმედოს და შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის ჭრილში, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების კრიტერიუმები:

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით:

ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა;

ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება;

გ) გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს; (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ.19).

ბავშვის უფლება მის წარმომადგენლობაზე

„ბავშვს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“ (ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 80(1))

„ბავშვს აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება. სახელმწიფო ბავშვისთვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას, როდესაც მას მოწვეული ადვოკატი არ ჰყავს.“ (ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 74(3)).

ბავშვის მიერ გამოხატული ნების მნიშვნელობა და ინტერესთა კონფლიქტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ შეფასდეს დედის ადვოკატის მიერ შვილის ინტერესების წარმოდგენა შექმნის თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოქმნის საფრთხეს, პირველ რიგში უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები.

შეკითხვიდან ირკვევა შემდეგი ფაქტები: სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარე ეტაპზე, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი არის დედა; ბავშვი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის შეუძლია ნება გამოხატოს და დააფიქსიროს საკუთარი სურვილი, თუ ვის მიერ იქნას მისი უფლებები დაცული; ბავშვი სრულად იზიარებს დედის პოზიციას, მათ შორის მკაფიოდ აფიქსირებს ნებას მისი ინტერესები დაიცვას დედის ადვოკატმა; აღნიშნულის თაობაზე წინააღმდეგობას არ გამოხატავს მეურვეობის ორგანო;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა უნდა შეაფასოს არსებული ფაქტების გათვალისწინებით, ამგვარი წარმომადგენლობა დააზიანებს თუ არა რომელიმე კლიენტის ინტერესს. აღწერილი ფაქტები არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ მოცემული შემთხვევა შეფასდეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნად ან მის საფრთხედ. დედისა და შვილის ინტერესები ერთმანეთს არ უპირისპირდება და ბავშვი გამოხატავს ნებას მისი ინტერესებიც დედის ადვოკატმა დაიცვას.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა

ბავშვის ინტერესების წარმოდგენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის შეფასება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და საკითხი არ უნდა შეფასდეს განზოგადოებულად. კერძოდ, მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს ბავშვის ინტერესების უპირატესად, მათ შორის ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს, საოჯახო დავისას, რა იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის უკეთესი.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, არსებობს ბავშვის ნება, რაც მნიშნველოვანი ფაქტორია მისი ადვოკატირებისათვის. „სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12; „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ - გაეროს ბავშვთა ფონდი გვ.19).

ბავშვის გამოხატული ნების საფუძველზე დაწყებული ადვოკატირება შემდგომშიც უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული გულისხმიერებით, მით უფრო, რომ დავა მიმდინარეობს მშობლებს შორის და ადვოკატის ვალდებულებაა ასეთ შემთხვევებში, შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტის ან მისი საფრთხის წარმოქმნის პოტენციური რისკი არსებობს თუ არა, კერძოდ: შეუძლია, თუ არა მას ერთდროულად დედისა და ბავშვის ადვოკატირებისას მიუკერძოებლობის დაცვა; მათ შორის დედის ინტერესებიდან დამოუკიდებლად შეძლებს, თუ არა განსაზღვროს რა არის ბავშვის ინტერესებისთვის საუკეთესო;

III დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული მოცემულობის შეფასების შედეგად, იკვეთება, რომ დედისა და ბავშვის საერთო ინტერესი შეიძლება იქნას წარმოდგენილი ადვოკატის მიერ, რაც თავად ბავშვის მიერ

გამოხატულ ნებას ეფუძნება, თუმცა მიუხედავად ასეთი ჩართულობის დაშვებისა, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საქმიდან გამომდინარე არსებული ყველა ის ფაქტორი, რომელიც მისთვის არის ცნობილი და შესაძლოა ქმნიდეს ინტერესთა კონფლიქტს ან მის საფრთხეს. აგრეთვე, ადვოკატის მიერ ბავშვის ინტერესების დაცვის პროცესში, ინტერესთა დაპირისპირების წარმოქმნის შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა შეწყვიტოს ორივე კლიენტის წარმომადგენლობა.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი /ცისმარი ონიანი/